მწვანე ალტერნატივა

მისამართი: თბილისი, ყიფშიძის ნა, IV სადარბ. VII სართ.
საფოსტო მისამართი: ჭავჭავაძის გამზ.№62, თბილისი, 0162
ტელ: (+995 32) 22 16 04, 22 38 74
ფაქსი: (+995 32) 22 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@wanex.net
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

№ _**04/02-82**_____

"_6_" _ნოემბერი__ 2007

საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ცხაკაიას

ბატონო გიორგი,

მადლობას მოგახსენებთ, თქვენი 2007 წლის 18 ოქტომბრის № 05/02-16/3030 წერილისათვის და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების ასლების მოწოდებისათვის. ამასთან, გვსურს აღვნიშნოთ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ცდილობთ, რეგულარულად გამოგვიგზავნოთ საპასუხო წერილები, ჩვენ დღემდე არ მიგვიღია ჩვენი (2007 წლის 8 ოქტომბრის და 2007 წლის 25 სექტემბრის) წერილებით მოთხოვნილი ინფორმაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვემოთ პუნქტობრივად განვმარტავთ, თუ რატომ არ არის დამაკმაყოფილებელი ჩვენთვის თქვენი განმარტებები და კვლავ დეტალურად განგიმარტავთ, თუ რა სახის ინფორმაციას ვითხოვთ თქვენგან. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ წერილში მოყვანილ ფაქტებს და ასეთივე დეტალური პასუხი მოგვაწოდოთ ჩვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

**1. ამონარიდი თქვენი 2007 წლის 18 ოქტომბრის № 05/02-16/3030 წერილიდან:**
*"რაც შეეხება შპს "ჯეოსთილის" მეტალურგიული საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ როდესაც საუბარი გაქვთ თქვენი შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობაზე, უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება როგორც საზოგადოების მხრიდან, ასევე დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ წარმოდგენილი შენიშვნების დუბლირება. აქედან გამომდინარე როგორც თქვენი ასევე დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები შეიძლება შინაარსით იყოს ერთმანეთის იდენტური."*

ეს გასაგები და მისაღები მოსაზრებაა, მაგრამ შენიშვნების დუბლირების ალბათობა თქვენ არ გათავისუფლებთ ჩვენი შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობაზე განმარტების მოწოდებისაგან.

ამდენად, "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, განმეორებით გთხოვთ, მოგვაწოდოთ (1) განმარტება

იმის თაობაზე, თუ რამდენად იქნა გათვალისწინებული ჩვენს მიერ წარმოდეგნილი შენიშვნები გადაწყვეტილების მიღების პროცესში და (2) ყოველი კონკრეტული შენიშვნის გაუთვალისწინებლობის დასაბუთება.

**2. ამონარიდი თქვენი 2007 წლის 18 ოქტომბრის №05/02-16/3030 წერილიდან:**
*"გარდა ამისა გაცნობებთ, რომ სამინისტრო ვერ მოსთხოვდა შპს "ჯეოსთილი"-ს წარმომადგენლობას, რომ მათ მიერ დაქირავებულ ყველა პირს ჰქონდეს მოქმედი წერილობითი კონტრაქტი, სადაც მითითებული იქნება სამუშაო საათების რაოდენობა და ხელფასი, ასევე სამინისტრო ვერ შეითანხმებდა და დაამტკიცებდა ჰიდროტესტირების მართვის გეგმას, როგორც ეს თქვენს მიერ წარმოდგენილ წერილში იყო მოთხოვნილი, რადგან აღნიშნული საკითხები სცილდება ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს."*

მადლობას გიხდით, ჩვენი თუნდაც ერთი შენიშვნის გაუთვალისწინებლობის მიზეზის შესახებ განმარტების მოწოდებისთვის, თუმცა როგორც ჩანს, შენიშვნის შინაარსი ვერ იქნა ადექვატურად გაგებული.

შენიშვნებში ჩვენ არ მოგვითხოვია საწარმოს ხელმძღვანელობისათვის დაქირავებულ პირებთან წერილობითი კონტრაქტის გაფორმების ვალდებულების დაკისრება. თუ კარგად გაეცნობით შპს "ჯეოსთილის" მიერ თქვენთვის წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის 9.1. თავს (შემარბილებელი ღონისძიებები საწარმოს შენობა–ნაგებობების რეკონსტრუქციის და დანადგარ-მოწყობილობის სამონტაჟო სამუშაოების პერიოდში) დარწმუნდებით, რომ აღნიშნული ვალდებულება თავად აიღო ინვესტორმა როგორც "სამუშაო პირობებით უკმაყოფილების ალბათობის" ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიება; ხოლო ჩვენს წერილში (№04/02-73, 2007 წლის 6 აგვისტო) წარმოდგენილი იყო მხოლოდ ამ ვალდებულების კვოტირება.

ჩვენ კარგად ვიცნობთ როგორც საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს და ისიც ვიცით, რომ ეს საკითხი არ შედის თქვენი კომპეტენციის ფარგლებში; მაგრამ აღნიშნული საკითხი გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში სამართლიანად არის განხილული როგორც ერთ-ერთი შესაძლო ნეგატიური ზემოქმედება. ამდენად, რადგანაც ინვესტორმა თავად აიღო მსგავსი ვალდებულება (წერილობითი კონტრაქტის გაფორმება), ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ასევე უპრიანი იქნებოდა კონტრაქტში გათვალისწინებული ყოფილიყო დაქირავებულის უფლება-მოვალეობები და სოციალური ქცევის კოდექსის შესრულების ვალდებულება, რომლის შემუშავების ვალდებულებასაც იღებს ინვესტორი, კვლავ გზშ ანგარიშის თანახმად.

რაც შეეხება ჰიდროტესტირების მართვის გეგმას, ვწუხვართ, რომ ჩვენთვის უცნობი იყო ის, რომ ეს საკითხი არ შედის თქვენს კომპეტენციაში და მადლობას გიხდით ამ განმარტებისათვის. ჩვენი შენიშვნების გათვალისწინება-გაუთვალისწინებლობის თაობაზე თქვენგან განმარტებების მოთხოვნის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ მსგავსი ინფორმაციის მიღება და ჩვენს სამომავლო საქმიანობაში გათვალისწინება გახლავთ. ამასთან, გთხოვთ, მიგვითითოთ ის უწყება, რომლის კომპეტენციაშიც შედის აღნიშნული საკითხი და ასევე, შესაბამისი ნორმატიული აქტი, რომლითაც განისაზღვრება პასუხისმგებელი ორგანო.

ამასთან, ჩვენთვის უფრო სასარგებლო და მნიშვნელოვანი იქნებოდა მიგვეღო განმარტება იმის თაობაზე, თუ რატომ არ დაევალა ინვესტორს გარემოსდაცვითი მართვის გეგმების გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმება. შეგახსენებთ, რომ "გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" დებულების შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს გარემოსდაცვითი მართვის გეგმები, რასაც არ ჰქონია ადგილი შპს "ჯეოსთილის" შემთხვევაში. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ სამინისტრო ყურადღებას მიაქცევდა აღნიშნულ ფაქტს და თუკი ეს არ გახდებოდა პროექტზე უარყოფითი დასკვნის გაცემის მიზეზი, გარემოსდაცვითი მართვის გეგმების შემუშავებისა და

მათი სამინისტროსთან შეთანხმების ვალდებულება თქვენს მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობებში მაინც ჰპოვებდა ასახვას. თქვენს მიერ მოწოდებული შპს "ჯეოსთილზე" გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია. რადგანაც, ინვესტორისათვის აღნიშნული ვალდებულების დაკისრება ჩვენი ერთ-ერთი შენიშვნა იყო, ვიმედოვნებთ, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით დეტალურ განმარტებას ჩვენს სხვა შენიშვნებზე განმარტებებთან ერთად მივიღებთ.

**3. ამონარიდი თქვენი 2007 წლის 18 ოქტომბრის №05/02-16/3030 წერილიდან:**
*"ხოლო რაც შეეხება შპს "ენტო"-ს. მან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად განაცხადი წარმოადგინა 2007 წლის 25 სექტემბერს. გიგზავნით შპს "ენტო"-ს მიერ წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 22 ოქტომბერი."*

გაცნობებთ, რომ თქვენს 2007 წლის 18 ოქტომბრის №05/02-16/3030 წერილს <u>თან არ ერთვოდა</u> შპს "ენტო"-ს მიერ წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელსაც თქვენი ამავე წერილის თანახმად, გვიგზავნიდით. ვიმედოვნებთ, რომ ეს ფაქტი მხოლოდ წერილის გამოგზავნაზე პასუხისმგებელი პირის უყურადღებობის მიზეზით მოხდა და არა გამიზნულად. ამასთანავე, გთხოვთ, მომავალში წერილში მიუთითოთ დანართის გვერდების რაოდენობა, როგორც ეს მიღებული წესია, რათა გამოირიცხოს მსგავსი გაუგებრობა.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, გთხოვთ განგვიმარტოთ, რა მიზნით გვიგზავნიდით ზემოაღნიშნულ ანგარიშს, როდესაც კომენტირების ვადად 22 ოქტომბერი განსაზღვრეთ, თქვენი წერილი კი (მართალია, თქვენს მიერ 18 ოქტომბრით დათარიღებული) ჩვენს მისამართზე სამინისტროდან მხოლოდ 25 ოქტომბერს იქნა გამოგზავნილი (აღნიშნულს ადასტურებს კონვერტზე რაიონული ფოსტის ბეჭედი, რომლიც აფიქსირებს გასაგზავნი წერილის ფოსტაში შესვლის თარიღს). თუკი ვივარაუდებთ, რომ წერილის დაგვიანებით გამოგზავნა კვლავ რომელიმე თანამშრომლის დაუდევრობით მოხდა და არა გამიზნულად, მაინც გაუგებარი რჩება ანგარიშის გამოგზავნის მიზანი, ვინაიდან თუნდაც 18 ოქტომბერს (ხუთშაბათს) გამოგზავნილი თქვენი წერილი, იდეალურ შემთხვევაში, ჩვენამდე 19 ოქტომბერს (პარასკევს) მოაღწევდა, ხოლო კომენტირების ვადა 22 ოქტომბერს (ორშაბათს) იწურებოდა (პარასკევს და ორშაბათს შორის კი, მოგეხსენებათ, ორი არასამუშაო დღეა – შაბათი და კვირა).

გთხოვთ, განმარტოთ მომხდარი და ასევე ის, თუ როგორ შეესაბამება თქვენს მიერ ჩვენთვის დადგენილი პროცედურა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ორჰუსის კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს.

**4. ამონარიდი თქვენი 2007 წლის 18 ოქტომბრის №05/02-16/3030 წერილიდან:**
*"ასევე, გიგზავნით ინდ. მეწარმე ივანე გავაშელიშვილზე, ინდ. მეწარმე ზურაბ გოგრიჭიანზე, შპს "რკინის ჯვარზე", შპს "ატუ"-ზე, შპს "ბურჯი"-ზე, შპს "არომატზე" და შპს "ანგლო მესხეთზე" გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ასლებს. აღნიშნული ფირმების ადმინისტრაციულ წარმოებაში თქვენი ჩართვა არ მომხდარა იმ მიზეზების გამო, რომ როდესაც თქვენ მოგვმართეთ წერილობით და ითხოვდით ჩართვას ადმინისტრაციულ წარმოებაში, მაშინ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების თაობაზე აღნიშნულ ფირმებს განაცხადი წარმოდგენილი არ ჰქონდათ. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, სამინისტრო ყოველთვის მზად არის მოგაწოდოთ ყველა სახის საჯარო*

*ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილი იქნება წერილობით, რადგან ჩვენს კომპეტენციას არ წარმოადგენს საკუთარი ინიციატივით რაიმე სახის ინფორმაციის გაცემა."*

პირველ რიგში, მადლობას მოგახსენებთ, იმ დოკუმენტების მოწოდებისთვის, რომლებიც ჩვენ არც წერილობით და არც ზეპირსიტყვიერად არ მოგვითხოვია, მიუხედავად იმისა, რომ თქვენს კომპეტენციას არ წარმოადგენს საკუთარი ინიციატივით რაიმე სახის ინფორმაციის გაცემა, თქვენ მაინც მოგვაწოდეთ ინდ. მეწარმე ივანე გავაშელიშვილზე, ინდ. მეწარმე ზურაბ გოგრიჭიანზე, შპს "რკინის ჯვარზე", შპს "ატუ"-ზე, შოს "ბურჯი"-ზე, შპს "არომატზე" და შპს "ანგლო მესხეთზე" გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ესქპერტიზის დასკვნის ასლები. აქვე მოგახსენებთ, რომ შპს "ენტო"-ს მიერ წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მსგავსად, წერილს თან არ ერთვოდა ინდ. მეწარმე ივანე გავაშელიშვილზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ასლი, რომელსაც თქვენი თქმით, სხვა დასკვნებთან ერთად გვიგზავნიდით.

თქვენს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებასთან დაკავშირებით კი კვლავ შეგახსენებთ, რომ 2007 წლის 16 ივლისს ჩვენ მოგმართეთ წერილით (№04/02-72), რომელშიც ვითხოვდით აღნიშნულ საქმიანობებზე სახელმწიფო ეკოლოგიური დასკვნის და/ან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული წარმოებაში ჩართვას. ასევე განმეორებით შეგახსენებთ, რომ ზემოთ ხსენებული წერილის საპასუხოდ თქვენს მიერ გამოგზავნილ წერილში თქვენ აღიშნავდით: "ვინაიდან თქვენს წერილში მითითებულ დანარჩენ ობიექტებზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოება ჯერ არ დაწყებულა, მათ შესახებ ინფორმაციას მოგაწვდით სანებართვო დოკუმენტაციის წარმოდგენისთანავე". ამ შემთხვევაში ცოტა უცნაურია, თქვენი მხრიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მოთხოვნებზე აპელირება, რადგან ეს სწორედ ის შემთხვევა იყო, როდესაც თქვენ გქონდათ ჩვენი წერილობითი მოთხოვნა ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვაზე, ხოლო ჩვენ დამატებით გვქონდა თქვენი წერილობითი თანხმობა ამასთან დაკავშირებით.

ასევე გვსურს დავაზუსტოთ, რომ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი არ განსაზღვრავს ვადებს იმასთან დაკავშირებით, თუ როდის უნდა წარადგინოს დაინტერესებულმა მხარემ ადმინისტრაციულ ორგანოში პროცესში ჩართვაზე წერილობითი მოთხოვნა - პროცესის დაწყებამდე, თუ პროცესის დაწყების შემდეგ; სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს ვალდებულება გააკეთოს განაცხადი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

რადგანაც, თქვენი წერილიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მოთხოვნების თაობაზე თქვენ განსხვავებული წარმოდგენები გაგაჩნიათ, გთხოვთ, დეტალურად განგვიმარტოთ როგორ მოვიქცეთ მომავალში, რათა მოვახერხოთ ამა თუ იმ საქმიანობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო ეკოლოგიური დასკვნის და/ან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა.

**5. ამონარიდი თქვენი 2007 წლის 18 ოქტომბრის №05/02-16/3030 წერილიდან:**
*"გარდა ამისა, როგორც ჩვენთვის ცნობილია და თქვენ მიერ წარმოდგენილი წერილიდანაც ჩანს თქვენთვის უცხო არ არის ორჰუსის ცენტრის საიტის მოხმარების წესები და ჩვენი თხოვნა იქნება ყურადღებით გაეცნოთ გამოქვეყნებულ ინფორმაციას და მოახდინოთ მისი სწორი ინტერპრეტაცია, რათა წინა ვარიანტივით არ მოგიწიოთ მეწარმისათვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით შენიშვნების მის მობილურ ტელეფონზე გაგზავნა ან/და საჩხერის გზატკეცილზე მხოლოდ იმისთვის ჩასვლა, რომ მდ. ჯრუჭულასა და ყვირილას შესართავთან შენიშვნები დატოვოთ. გარდა ამისა არც ჩვენ აღარ მოგვიწევს იმის ახსნა, რომ*

*კანონმდებლობით, მეწარმისათვის შენიშვნების გაგზავნა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით და ამისათვის უნდა გამოიყენოთ ფოსტა ან/და თქვენი ორგანიზაციის წარმომადგენელი ადგილზე დაესწროს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვას".*

მოგახსენებთ, რომ ჩვენ კონსულტაცია გავიარეთ საქართველოს ფოსტის წარმომადგელებთან, რომლებმაც განგვიცხადეს, რომ საქართველოს ფოსტა ვერ აიღებს პასუხისმგებლობას საფოსტო გზავნილის მდ. ჯრუჭულასა და ყვირილას შესართავთან, ან მაგისტრალური გაზსადენის გასხვისების ზოლში (გთხოვთ იხილოთ ინდ. მეწარმე "ივანე გავაშელიშვილის" მინერალური ნედლეულის გადამუშავების – გაჯის საამქროს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო გახილვის შესახებ განაცხადი) მიტანაზე. ასევე მოგახსენებთ, რომ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ამ ადგილების საძებნელად თანამშრომლების ძვირფასი დროისა და ორგანიზაციის მატერიალური რესურსების ხარჯვა.

ამასთან ერთად, შეგახსენებთ, რომ მეწარმის მიერ ჩატარებულ საჯარო განიხილვებში ჩვენი მონაწილეობა/არ მონაწილეობა არავითარ კავშირში არ არის ჩვენს მონაწილეობასთან ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომელსაც თქვენ არ, თუ ვერ უზრუნველყოფთ.

დასასრულს, გთხოვთ, ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადაში, გვიპასუხოთ ამ წერილში დასმულ ყველა საკითხზე.

პატივისცემით,
ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი